საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030147178223818

№ 01-156/მ **18 / ივნისი / 2018 წ.**

მზია ჯოხიძის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, მოლდოვის რესპუბლიკაში, ქ. კიშინიოვში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სემინარში (ნიადაგით გადაცემადი ჰელმინთოზების კონტროლისა და პრევენციის თაობაზე) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 19 ივნისიდან 2018 წლის 23 ივნისის ჩათვლით (ხუთი დღის ვადით) მოლდოვის რესპუბლიკაში, ქ. კიშინიოვში **მივლინებულ იქნეს** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **მზია ჯოხიძე.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მარიანა მკურნალის 2018 წლის 15 ივნისის №01-13472 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით სერგეენკო